

“საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მექანიზმები სოციალური ქსელების
საშუალებით და მათი გავლენა ტრადიციულ მედიაზე”

მარესკო მარიამ ვარძელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ითონიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარესკო მარიამ ვარძელაშვილი

2016 წელი

აბსტრაქტი

ბოლო წლებში სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მომხმარებელი იქმნის მეორე იდენტობას ისეთ ქსელებში, როგორც არის Facebook, Youtube, Twitter და ა.შ მეტწილად სოციალური ქსელების დახმარებით ხდება მნიშვნელოვანი, საჭირო და საინტერესო ინფორმაციის მოპოვება, ხელმისაწვდომობა და გავრცელება, რამაც ადამიანებს შორის კომუნიკაციის გამარტივებასაც შეუწყო ხელი. წარმატება გამოწვეულია იმით, რომ მომხმარებლებს საშუალება აქვთ თავად დაწერონ და განავითარონ შინაარსი. ამის შედეგად კი იქმნება მომხმარებლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია (მომხმარებლის ზოგადი შინაარსი). იქმნება ციფრული ინტერაქცია შემთავაზებელსა და მომხმარებელს შორის. მომხმარებელი გამოდის პასიური ინფორმაციის მიმღების როლიდან, აქტიურად ახდენს თავის გავლენას ინფორმაციაზე და ამყარებს კომუნიკაციას ორგანიზაციებთან. ეს ფენომენი არა მარტო მომხმარებლისთვის არის ახალი, არამედ მიმწოდებლისთვისაც.

ზემოხსენებული ნაშრომშიც ქრონოლოგიურად საუბარია სწორედ ინტერნეტზე, კომპიუტერზე და მათ ერთობლივ პროდუქტზე, სოციალური მედიის პირველი ჩანასახების აღმოცენებასა და მისი ერთ–ერთი გახმაურებული შემადგენელი ნაწილის „ვიკილიქსის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, იმ განსხვავებასა თუ კავშირზე, რომელიც არსებობს სოციალურ მედიასა და ტრადიციულ მედიას შორის, ასევე მათ ურთიერთგავლენაზე. ინტერნეტის საშუალებით მსოფლიო მთავრობების და მოქალაქეების კომუნიკაციის დანერგვაზე და ხელისუფლებების ანგარიშვალდებულებების გასაზრდელად მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

Abstract

In recent years, social network users increased. User creates second face in such networks like Facebook, Youtube, Twitter etc. Social network becomes a way to get an important and necessary information and to spread it to your friends, so it makes communication process to be easier. They create the content themselves and then develop it, that is why it is so successful. After that creates the general information about user. Creates digital interaction between user and owner. User comes out of the passive role, became active and make communication with organizations. this phenomenon is new for not only user but also supplier.

In my thesis I discuss chronologically about internet, computer and their co-production, first steps of social media and Wikileaks, as one of the rumoured part of social media. I wrote about the differences and connection between social and traditional media and their interaction. Role of internet as one of the tool of communication between citizens and world governments. Accessibility of detailed information about government work and their responsibility.